ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 სამშაბათი, 29 მაისი № 1478

ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ...ლებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

...ლის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ...ს ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგ-...ოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ТЕЛЕФОНИ № 372.

...მწუხარებით ალვსილი მშობლები ალექ-...ნდრე ნიკოლოზის შე და თამარა და-...თის შე გველესიანები, რადგანაც შე-...ება არა აქვთ პირადად მადლობა გა-...ეხადონ ყველა იმ პირთ, ვინც პატი-... სცეს უძროვოდ გარდაცვლილის **...ეუვიწყარის მათი შვილის სოლნას** ...ნებას, გულ-წრფელ მადლობას უც-...ებენ ყველას. (1—1)

ტფილისის კერძო ...ამკურნალო

ვიხეილ გედევანიშვილისა.

...ალმოფენებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დ ი ღ ი თ:

. ი. ...ეიწინაძე — კბილის სნეულებანი 8 — ...საათამდე.

...ახეიდ ა. კედევანიშვილი — ნერვებისა და ...ბა ელექტროხით — 9 — 10 ს.

. ა მუდანი ურისა, ყელისა და ცხვირი-11—12 საა. დღე.

. ვ. ახალშენიშვ. ი—კბილის სნეულებანი 0 — 12 საათამდე.

. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 ს.

...ანი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11 — 12 ს.

. ა. გელეგანიშვილი—ნერვებისა და შინა-...—12 — 1 საათამდე.

. გ. ფეოდოროვი შინაგანი და სამკურნალო 2 ს.

. ლ. მარკეზიჩი—სალოსტაქრო— $12^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

. ლ. ბეგოვაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და ...ლესი—$1^1/_2$—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

. ნ. თუმანიშვილი—ლელეთა სნეულებანი ...—6 საათამდე.

. ა. ბელოგოლოვი.—შინაგანი (სტომაქის ...ეოფობანი) და მიკრო-ქიმიური კვლევა ...—5—6 საათზე.

. მალალაშვილი—კვირაობით—10—12 ს.

...ამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

...ასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ...ბეგები — მარიგებით. კრიტი 4 მან. ...ეგ და ...ეგი. ერთი კრიტი ფარიბოთვის უფასოა.

...ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ...ბაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის ...ბირ). ტელეფონი № 274. (წ.)

ვის უნდა დარჩეს ჩვენი მიწა?

...ერთ ჩვენ წერილში*) ჩვენ შევეხეთ ქარ-...ლ მიწა-წყლის ბედ-იღბალს და, სხვათა ...ორის, ის აზრი გამოვსთქვით, რომ ჩვენ ...და ვეცადოთ, რომ ჩვენი მიწა **ქართვე-...ს** შევარჩინოთ. ამის შესახებ ჩვენ ორ-...ი საყვედური მოგვივიდა. ერთის მხრივ ...საყვედურებენ, რომ ჩვენი დასკვნა მკა-...ად გამოსახული არ არის, წერილიდან ... სჩანსო, საჭიროა თუ არა, რომ ჩვენი ...ა გლეხკაცობის ხელში გადავიდესო. ...ორეს მხრით გვისაყვედურებენ, რომ ...ნ თავად-აზნაურობის ინტერესების წინა-...ადეგი აზრები გამოვსთქვით და იმის ცდა-...ვართ, რომ მათ ეხლავე უსათუოდ მიწა ...ერთვათ. რათა ამ ორ მოპირდაპირე ...ყვედურს საფუძველი ავაცალოთ, ჩვენ ...ობთ—**ბრალიანად** ჩვენ იმ აზრისა ...ვართ, რომ მიწა, ეს საწარმოებელი იარა-ღი, მწარმოებლის, ე. ი. გლეხის ხელში უნდა გადავიდეს, მხოლოდ რადგან ეს **პრაქტიკულად** არ მოხერხდება ამ ჟამად, ამისათვის ჩვენ უნდა ვეცადოთ, რამდენა-დაც შეიძლება, გლეხ-კაცობას ვაყიდვინოთ გასაყიდი მიწა და რასაც იგი ვერ შეისყი-დის, უფულობის თუ სხვა მიზეზების გამო, ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ იგი ჩვენს თავად-აზნაურობას შეურჩინოთ. ასე რომ ჩვენი მიწა, გარემოების და დროე-ბის მოთხოვნილებით, **ქართველობას** უნდა დარჩეს, ე. ი. ყოველ იმ ქართველს, **გა-ნურჩევლად წოდებისა**, ვინც კი შეიძლებს გასაყიდ მიწის შეძენას. იმ წერილში ჩვენა ვსთქვით: „ჩვენი მიწა-წყლის უცხოელ ბის ხელში ჩავარდნას, ისევ, თუ კი შეიძლებს, ქართველ თავად-აზნაურობას შერჩეს იგი. ქართველი **ხალხის ინტერესი** ამასაც კი მოითხოვსთქო“. ქართველი ხალხის ინტე-რესია—ჰქონდეს მას საცხოვრებელი მიწა-წყალი. მხოლოდ თუ ჩვენ მიწას **უცხოე-ლები** დაეპატრონებიან, ქართველ გლეხის ხელში იგი ველარ ჩავარდება. ასე რომ ჩვენ წინ ამგვარი დილემაა: ჩვენს აზნაურს მამული ეყიდება, გლეხს იმისი ყიდვა არსებულ პი-რობებში არ შეუძლია. დავეხმაროთ თუ არა აზნაურს, რომ მან დროებით მაინც არ და-ჰკარგოს მამული, თუ გულგრილად უყუ-ურთ ქართველ [illegible] გადასვლას? ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ, საზოგადო ინტერესის მიხედვით, საჭიროა ამ აზნაურს დავეხმაროთ. თავად-აზნაურობის მი-წის-მფლობლობის დაცვის **საჭიროება** გამომდი-ნარეობს ჩვენი გლეხ-კაცობის ინტერესით, რადგან ჩვენი აზნაურობის ერთად მამულ-დედული გლეხკაცობის და ქართველ მრეწველების (გა-ნურჩევლად წოდებისა) მემკვიდრეობა და რადგან სხვის ხელში გადასვლასთან ამით ეს მემკვიდრეობა სამუდამოდ დაეკარგებოდ. ამ გვა-რად ვუპასუხებთ იმათ, ვინც ჩვენს ნაწე-რებს „ფეოდალების“ მიდგომიღობასა სწა-მებს. მხოლოდ ჩვენი მეორე პასუხი, გამო-წვეული იმ საყვედურით, ვიცომ ჩვენ ნა-წერებს „ადამეტებული „დემოკრატიზმი“ ეტყობა, ჩვენ ვასაბუთებ შემდეგის მო-საზრებით.

როდესაც ჩვენ ეროვნებაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ უნდა გვქონდეს მეველობაში იმისა-თანა ნივთიერი და ულიერი პირობები, ურომლოდაც შეუძლებელია ხალხის წარ-მატება. ჩვენი ეროვნება ცარიელი სიტყვა იქნება, თუ ჩვენ ... ვეცადეთ ჩვენი ხალხის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობას. ჩვენი ეროვნულ აღორძინება დამოკიდე-ბულია ჩვენი [illegible]ომელი ხალხის, უმრა-ვლესობის კეთილდღეობაზე. ამისათვის ჩვენ ეროვნულ [illegible]ალში ხალხის ნივთიერ მდგო-მარეობის უმჯობესობას პირველი ადგი-ლი უნდ[illegible]ჭიროს. თუ ამაში ჩვენ დავთან-ხმდებით[illegible]ა თუ მხედველობაში მივიღეთ ჩვენი [illegible]ხის აწინდელი უკიდურესი მდგო-მარეო[illegible], მაშინ ჩვენთვის ცხადზე უცხადესი იქნ[illegible] საჭიროება გლეხ-კაცის მიწის-მფლო-ბ[illegible]ბის კითხვის მკვიდრ საფუძველზე და-ყ[illegible]ბისა.

[illegible]ივაქციოთ ყურადღება ჩვენს სინამდვი-ლეს. ჩვენს გლეხ-კაცობას სოფელში 112,861 [illegible]წარმოებლად საჩენი კაცი ჰყავს *). ამას-თან ჩვენი გლეხი იხდის საერო და სახელმ-წიფო გარდასახადს. (ამ ბოლო დროს სა-კომლო გარდასახადის გაუქმების გამო სა-ხელმწიფო ბეგარა მას ცოტა არ იყოს შე-უმცირდა). მხოლოდ რა ეკონომიურ პირო-ბებში სცხოვრობს ჩვენი გლეხი? **დროებით ვალდებული** გლეხი არც ყმაა, არც თავი-სუფალი მიწად-მოქმედი. მას აქვს „ნადელი“, მიზომილი მიწა, რომლის შესყიდვით იგი ხდება თავისუფალ მეურნედ. სანამ კი გლეხი ამ „ნადელს“ შეისყიდიდეს, იგი უფ-რო ყმას მიაგავს, რადგან ის მებატონე-საგან სრულ დამოკიდებულებაშია. გლეხი მიწის შემოსავლიდან ნაოთხალს იხდის. ამ ნაოთხალში მიწის სარგებლობის უფლების ფასიც გამოისახება და მისი შრომის და მამულის გაუმჯობესობის ფასიც. ასე რომ დროებით-ვალდებული გლეხი ფაქტიურად ძველ ყმას მოგვაგონებს, რადგან მას ჯერ არ აქვს კერძოდ საკუთრება. შესყიდვის პროცესი ტფილისის გუბერნიაში ეჩი-ნარია. 24 წლის განმავლობაში გლეხ-კა-ცობამ (1888 წლის ცნობებით) 264 „ნა-დელი“ შეისყიდა—სულ 245,333 მანეთისა. და თუმცა ქუთაისის გუბერნიაში ამავე 24 წლის განმავლობაში 4.000.000 მანეთი იყო დახარჯული „ნადელების“ შესყიდვა-ში, მხოლოდ ეს დიდი თანხა იმის მაჩვენ-ებელია, რომ იმერეთში ვიწროობის გამო *) [illegible] ძვირია (200—300 მან. ერთი დესეტ.). შედარებით ამერეთთან იმერეთში მეტი „ნადელია“ შესყიდული. მხოლოდ ამ ორ გუბერნიაში დროებით-ვალდებულ გლეხთა რიცხვი მაინც თვალსაჩინოა, თუ მივიღებთ ხელველობაში, რომ ორ გუბერ-ნიაში გლეხკაცობას მხოლო 416,644 დეს. ეკუთვნის 2,491,426 დესეტინიდან. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ რიცხვში **სახაზინო** გლეხთა საკუთრებაცაა ჩარი-ცხული. სახაზინო გლეხების საკუთრება კი საკუთრებად არ ჩაითვლება. **სახაზინო** გლე-ხი მიწის სამუდამო მოსარგებელია და არა მისი მოსაკუთრე (постоянное пользованіе, а не собственность). სიტყვა „სამუდამო“ თავის შინაარსის ხედვით არ უნდა ავ-ხსნათ. „სამუდამო სარგებლობა (სახაზინო გლეხების შემთხვევაში) ნიშნავს სარგე-ბლობას იმ დრომდე, რ დრომდენაც ამ გვარი „სარგებლობა“ არ ეწინააღმდეგე-ბა რომელიმე საზოგადო ან სახელმწიფო ინტერესს. ჩვენს სახაზინო გლეხს შეიძლე-ბა წაერთვას მიწა, თუ ეს მიწა საჭირო იქნება ტყის მოშენებისათვის, ფერმების და სკოლების დაარსებისათვის, სარწყავი არხების გაყვანისათვის და სხვა საზოგადო მოთხოვნილებისათვის და **სახელმწიფო მო-საზრებისათვის**. ტფილისის გუბერნიაში თითო სახაზინო სულზე მიზომილია 1,72 დესეტინა, ქუთაისის გუბ.—0,77 დეს. რა უნდა დარჩეს მას, სხვა და სხვა საზოგადო და სახელმწიფო მოსაზრებისათვის მისი პა-ტარა „ნადელი“ რომ დაქუცმაცდეს? ამ-სათვის სახაზინო გლეხთა ეკონომიურ მდგომარეობა ერთ დროში შეიძლება ხიზ-ნების მდგომარეობას დაემგზავსოს. გადავავ-ლოთ თვალი **ხიზნებსაც**. საქართველოში ითვლება თითქმის 50 ათასი ხიზათი. ძველი ადათის მიხედვით, ხიზნებს სამუდამოდ იმ მიწების სარგებლობის უფლება ჰქონდათ, რომლებზედაც ისინი იყვნენ შეხიზნულები. მებატონეს აძლევდნენ ისინი განსაზღვრულ ბეგარას და ხიზნების ეკონომიური მდგო-მარეობა ბევრ ადგილებში ყმების მდგომა-რეობასა სჯობნიდა. 1891 წლის კანონის ძალით ხიზნების ნივთიერი მდგომარეობა იცვლება. კანონმა სცნო ისინი მოიჯარად-რედ. ნამდვილად კი ხიზნები მოიჯარად-რები არ არიან, რადგან ყოველი მოიჯა-რადრე დადგენილ პირობებს უნდა აკმა-ყოფილებდეს—მან უნდა იცოდეს მამულის მიჯნები, საიჯარო უფლების ფული უნდა გადაიხადოს, საიჯარო ვადაც უნდა ჰქონდეს განსაზღვრული. ჩვენი ხიზნები არც ერთ ამ პირობებს არ ასრულებენ. ამისდა მიუ-ხედავად ისინი მოიჯარადრედ არიან ცნო-ბილნი. ამისთვის ისინი მემამულეს სრულ უფლებაში არიან ამ ჟამად, რადგან მას (მემამულეს) მათი (ხიზნების) მიწიდან აყრის უფლება მიეცა. მართალია, ამ შემთხვევა-ში მებატონემ უნდა უზღას ხიზანს. მხო-ლოდ ეს საზღაური ძრიელ მცირეა, იგი ვერ უზღავს ხიზანს შრომას და ჭირნა-ხულს.

ასეთია ქართველ გლეხთა ცხოვრების სურათი. ჩვენ ვნახეთ, რომ დროე-ბით—ვალდებული გლეხი ფაქტიურად ყმო-ბიდან არ არის განთავისუფლებული, სახა-ზინო გლეხის ბედ-იღბალი სახელმწიფო მო-საზრების ხვალედობაზეა დამყარებული, რაც შეეხება ხიზნებს, ისინი მემამულის სრულს უფლებაში იმყოფებიან, რადგან არა მოიჯარადრენი მოიჯარადრებათ ითვლებიან.

თუ ჩვენა გვსურს ჩვენს ეროვნობას მკვიდ-რი საფუძველი დაუდოთ, მივაქციოთ ჩვენი უპირატესი ყურადღება იმ გარემოებას, რომ ჩვენი მწარმოებელი არ არის დამკვიდრებულ-ი იმ მიწაზედ, **რომელსაც იგი ამუშავებს და რომელიც ჩვენს—საქართველოს ტერი-ტორიას შეიცავს.** დავეხმაროთ გლეხკაცო-ბას მიწის შეძენის საქმეში. რაც მან ვერ შეიძინოს, შეურჩინოთ მიწა დანარჩენ ქარ-თველობას. ამ განზრახვით საჭიროა ჩვენში სპეციალურ ბანკის დაარსება. მხოლო რა ხასიათის უნდა იყოს ეს ბანკი, ამაზედ შემ-დეგში მოვილაპარაკოთ.

ასე რომ ყველა ამ მოსაზრებიდან, ის, ვინც „ფეოდალობას“ გვისაყვედურებს, და-ინახავს, რომ ჩვენი სურვილი აზნაურთა მა-მულის დაცვისა ტაქტიკის და არა პრინცი-პის კითხვაა; ის კიდევ ვინც გადამეტებულ „დემოკრატიზმს“ გვწამებს, დაინახავს, რომ ჩვენი ეროვნული სიმაგრე დაფუძნებულია ჩვენი წარმოებელის ნივთიერ გამაგრებაზედ, ვინაიდან ყოველი ცოცხალი ერი შრომით და მხნეობით სულდგმულობს. ამისათვის თუ ჩვენ ჩვენს ეროვნობის გამაგრება-გამტ-კიცებას შევუდგებით, არ შეიძლება არ ავა-შენოთ მისი მომავალი შეურყეველ მიწის საძირკველზედ

ალიოშა ჯორჯაძე.

*) ჩვენი ეკონომიური პროგრამის გამო. მაი[illegible] 1 წ.

*) ტფილისის და ქუთაისის გუბერნ. 85,952 თავად-აზნაურია და 26,909 სასულიერო წოდების პირი.

*) Земельные вопросы. Туманова.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. „დეილი ნიუს“-ის ცნობით, ცნობ-ილმა მოდგაწემ ჩარლზ დილკმა კლოსტერის ლიბერალურ კლუბში სიტყვა წარმოსთქვა და, სხვათა შორის, შემდეგი განაცხადა:

„თქვენ ოპოზიციაში ეხლაც უთანხმოებაა ტრანსვაალის ომის თაობაზე, მით მაინც უკვე

ლიბერალები და თითონ კონსერვატორების უმეტესობაც კი თანახმანი არიან, რომ ეს ომი ცუდად და ინგლისისათვის სამარცხვინოდ იყო ნაწარმოები; ლიბერალურ პარტიას არც იმ კანონ-პროექტების შესახებ აქვს უთანხმოება, რომლებიც მთავრობამ ჯარისა და სკოლების თობაზე წარადგინა,—ერთიც და მეორეც ლიბერალებს სწორედ რომ სამარცხვინოდ მიაჩნიათ. იმ საკითხის შესახებ, თუ რამდენადაა ინგლისი მომზადებული ომისათვის, თითქმის მთავრობის ყველა მომხრეებმა კერძო დაპარაკში და ზოგიერთმა თვით საჯარო სიტყვებშიაც აშკარად გამოთქვეს, რომ ოპოზიციის აზრებს ეთანხმებიან. საზოგადოდ ეხლანდელმა მთავრობამ ვერც ძინგან მმართველობაშია, ვერც საგარეო პოლიტიკაში და ვერც სამხედრო საქმეში ვერ გამოიჩინა შნო და უნარი.

სამხრეთ-აფრიკა. დელარეის გამარჯვებამ ინგლისის ჯარზე ფლაკეფონტენთან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თურმე ინგლისის საზოგადოებაზე. სწორედ ამავე დროს, სამხედრო ცენზურის მიუხედავად, გაზეთებში კიდე სხვა ბრძოლების თობაზე ისეთი ცნობები დაიბეჭდა, რომლების შესახებაც მთავრობა ხმასაც არ იღებდა. ამავე დროს ამბავი მოვიდა, რომ გენერალ ბეიერმაც შესანიშნავად გაიმარჯვა პრეტორიის ახლოო: 600 კაცი ტუვედ წაიყვანა, 400 დასჭრა და მოჰკლა და 6 ზარბაზანიც წართვა. ბურები კაბის ახალშენშიაც მხნედ იქცევიან: ანგრევენ რკინის გზებს, თავს ესხმიან ჯარებს და ქალაქებსაც კი იღებენ. ყველა ეს ამბები დიდად მოქმედებენ ინგლისის საზოგადოებაზე და სწორედ სასოწარკვეთილებაში აგდებენ. ურწმუნოებსაც კი სწამდათ, რომ ზამთარში ბრძოლა დაწყნარდებაო; ბურები მხოლოდ ენგენისთვიდან, როცა სამხრეთ-აფრიკაში ზაფხული იწყება, გაააქტიურებენ სამხედრო მოქმედებასო. ბევრს იმედი ჰქონდა, რომ ინგლისის ჯარი ამ ზამთრის განმავლობაში ბურებს ყველგან შეავიწროვებდა და ბოლოს მოუღებდა. მაგრამ ბურები, რომლებსაც ისეთი მხნე და მოხერხებული სარდლები ჰყავთ, როგორც დელარეი, ბეიერი და სხვ., ზამთარშიაც კი არ აბირობენ დასვენებას და არც ინგლისელებს ასვენებენ.

ქრისტიან დეკეტის შესახებ თითქმის ორი თვეა არა ისმის-რა. რომ ის უქმად და ტყუილად არ გაჩერდებოდა ამდენი ხანს—ეს ცხადია; ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ინგლისის სამხედრო სამინისტრო იმის შესახებ ცნობებს არ აცხადებს. მხოლოდ კერძო ცნობებიდან გაზეთებს გაუგიათ, რომ კაბის ახალშენში შესულან ბურების რაზმების დეკეტი უწევს ხელმძღვანელობასო. კრიუტინგერი დეკეტის სანახავად და მასთან მოსალაპარაკებლად ორანჟეს რესპუბლიკაში ეოფიდა. კაბის ახალშენში შესულები ბურები სულ ორანჟელები არიან და მეტად მოხერხებულად მოქმედებენ; ერთი ინგლისური გაზეთი სამართლიანად ჰფიქრობს, რომ ამ მოქმედებაში დეკეტის გამჭრიახე ზეკუ სჩანსო. გაზეთები იმასაც აქცევენ ყურადღებას, რომ ბურები ტრანსვაალში, თვით პრეტორიის ახლო, ორანჟეს რესპუბლიკაში და კაბის ახალშენში, ყველგან მთელ სამხრეთ-აფრიკაში, ისე თავისუფლად დადიან, თითქო იქ ინგლისის ჯარი არც კი იყოს და ამით ამტკიცებენ, რომ ინგლისი ტყუილად იქადიდა ორივე რესპუბლიკის დაპურობას. დღეს, 29 მაისს, სწორედ ოცი თვე გახდა მას აქეთ, რაც ეს ინგლისისათვის უბედური და სამარცხვინო ომი დაიწყო; 250 ათასი ინგლისელი ჯარის კაცი ამაოდ სცდილობს ბურების პაწია რესპუბლიკების დაპურობას, ყველს გამხდარა 15 ათას მეომარ ბურთან. ეხლაც, 20 თვის შემდეგ, ისე, როგორც პირველ ხანებში, ყველაფერ ხელებში, ყველაფერ ხელებში, ...

...ეკასიელიც მუშების მზრუნველობას მიანდოს. ...ულობაში ბ. გამგესათვის აშენებულია კარ-...ბარელი, რომელიც თითქმის ყოველთვის ...ს გასელია.

„ნოვოსტი“-ს სიტყვით, მთავრობას ...ანაშუშავებია ახალი პროექტი ურიების ...ებთან და მათ თანაშემწეთა არჩევნების ...ებ. პროექტით, ამ პირთ აირჩევენ ხო-...საზოგადოებათა რწმუნებულების კრე-...ს.

ს. სუფსიდან გვწერენ: „22 მაისს ...წმიდის ძმობის ეკლესიაში მოწაფე ...ველიძემ უცაბედად თამაშობის დროს ...ტით გატენილი თოფით დასროლა სა-...ად პირის სახეში თავ. მაჩაბელი ...ლი). მაჩაბლის მორჩენა საეჭვოა ...ინდ მორჩეს, დამახინჯებას მაინც ვერ ...ორჩება“.

26 მაისს სადგურ სანაინზე პატარა ...ალეში დაიხრჩო 11 წლის პატარა ქა-...რომელიც იმყოფებოდა ვაჭრის სულ-...ის მზრუნველობის ქვეშ.

შაბათს, 26 მაისს, შემდეგი უბედუ-...დატრიალდა ანჩისხატის ქუჩაზედ: სპა-...ის ქვეშევრდომნი ბალდასარ საააკოვი ...ერქის მაკაროვი შეხვდნენ ღამის 10 ...ედ ერევნის გუბერნიის მცხოვრებს მა-...ოჰანესიანცს და დაცინვა თურმე და-...ს (ოჰანესიანცი კოჭლია); ერთმათგანს, ...ა შორის, კოჭლი ეშმაკი დაუძახნია ...ესიანცისათვის. ეს უკანასკნელი მოთ-...ბიდან გამოსულა და დანით დაუჭრია ...აროვი ფეხში და საააკოვი მუცელში. ...ე დაჭრილები საავადმყოფოში წაიყვა-...საააკოვი მძიმედ არის დაჭრილი. ოჰა-...ანცი მის სახლში დაიჭირეს; იგი არ ...ვს თავის დანაშაულს, მხოლოდ თავს ...იმართლებს, რომ მოთმინებიდან გა-...ყვანესო.

ს. აბაშიდან (სენაკის მაზრა) გვწე-...„25 მაისს, შუადღეზედ, გლეხს ჭან-...იანს დაეწვა ხის სახლი (ოდა). ცეცხ-...გაჩენის მიზეზი ის ყოფილა, რომ ქა-...ი ასულან ჭერზე აბრეშუმის ჭიის და-...რებლად და თან აუტანიათ მოკიდებუ-...ქრაქი. ჭრაქიდან ცეცხლი მოედო ...ით დახურულ ოდას და ნაცარტუტად ...ა საწყალი ღარიბი გლეხის ოჯახი“.

24 მაისს, ღამით, პოლიციის მეცხრე ნაწილში ...ტროლოპალატის მმართველის ბ-ნ ბუტირკინის ...ეტში შეპარულა ვიღაც ბოროტ-განმზრახველი, ...ეხია საწერი სტოლის უჯრა და ამოუღია ქისა, ...ლშიაც 90 მან. ყოფილა და სურათებიანი 10 ...სადარაბაზო ბარათი. მეორე დღეს ბარათები ...ღაც ქაღალდის ნაგლეჯები უნახავთ იქვე პა-...ს ახლო ბაღის ბუჩქებში ჩაყრილი. ქურდობა-...ვი მიუტანიათ მებაღე ზურაბა პეტრეს ძე ...ზე, რომელიც უკვე დააპატიმრეს.

...ოლის საზოგადოების წევრთა მორიგი კრება.

...ბათს, 26 მაისს, საღამოს 9 საათზედ, ...სათავად აზნაურო ბანკის სადგომში ...ვა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმა-...ლი ტფილისის გუბერნიის თავად-აზ-...თა საზოგადოების მორიგი კრება. რა-...ც საზოგადოების გამგე-კომიტეტის ...ჯდომარე ტფილისში ამ ჟამად არ იმ-...ება, ხოლო მისი ამხანაგი ავადმყოფო-...გამო კრებას ვერ დაესწრო, კრება და-...კომიტეტის უფროს წევრის ნ. ზ. ...ბაძის თავმჯდომარეობით. ვიდრე საქ-...ის განხილვას შეუდგებოდნენ, თავ-...მარემ, აღნიშნა რა, რომ წასულ წელ-...არდაიცვალნენ კომიტეტის ყოფილი ...ჯდომარე ჯ. ქ. მაჭაცაშვილი, მგოსანი ...რაფიელ ერისთავი და საზოგადოების ...ტიო წევრი ჯ. ი. ზუბალაშვილი, სთხო-...რებას პატივი ეცათ განსვენებულთა ...ლისათვის ფეხზედ წამოდგომით, რაც ...ამ შეასრულა. შემდეგ კრებას წარედ-...კომიტეტის მოხსენება გასულ წლის ...ედების შესახებ. როგორც მოხსენები-...სჩანს, საანგარიშო წლის განმავლო-...ტფ. სათავად-აზნაურო სკოლაში სწა-...და 597 მოწაფე, ამათგან 471 გარედ მოსიარულე და 126 პანსიონერი. პანსიო-ნერნი ასე არიან განაწილებულნი: 26 საზოგადოების სრულ ხარჯზე სწავლობს, 35 საზოგადოების ნახევარ ხარჯზე, ხოლო 65 თავის საკუთარ ხარჯზე (შეაქვთ სკოლაში თითოს 200 მ.) გარედან მოსიარულეთაგან სწავლის ფასიდან გაუნთავისუფლებიათ 252 მოსწავლე. თუმცა სკოლაში შემსვლელთა მსურველი ძლიერ ბევრი იყო თურმე, მაგრამ კომიტეტი უვაკანსიობისა გამო იძულებული ყოფილა ბევრისთვის უარი ეთქვა მიღებაზე. საანგარიშო წელს ამ სკოლაში სწავლა დასრულებულთ დანიელ ყიფიანს, იოსებ კობიაშვილს და გრიგოლ შათირიშვილს სახელმწიფო გიმნაზიის მერვე კლასში ეგზამენი დაუჭერიათ და სამივენი საზოგადოების ხარჯით უნივერსიტეტში შესულან; ორნიც გ. გომელაური და ე ბაატაშვილი სახელმწიფო გიმნაზიის მერვე კლასში მიუღიათ.

სკოლისა და პანსიონის შესანახად გამგე-კომიტეტს სათავად-აზნაურო ბანკისაგან მიუღია 61,056 მან. 14 კაპ. და სკოლას ჰქონია შემოსავალი 17,898 მან. და 60 კაპ., სკოლის შენახვა დამჯდარა 71,809 მ. 42 კ., ხოლო დანარჩენი ფული მოუხმარებიათ კომიტეტის კანცელარიისათვის, წასულ წლის ვალების გასასტუმრებლად და სხვა და სხვა საჭიროებათათვის. საზოგადოების სახლს, რომელიც ტფილისში განოვისა და ველიამინოვის ქუჩებზეა, შემოსავალი ჰქონია 15,980 მან. მდგმურებზე დარჩენილა ვალად 754 მან. 48 კ., წელს ამ სახლებიდან შემოსავალს მოელიან 17,102 მან. ამჟამად სახლზე ბანკის თავნი ვალია134,111 მან. 99 კ., ხოლი კერძო 13,777 მან. სკრის მამული კარგათ შეუმუშავებიათ. ვენახისათვის ღობე გაუმაგრებიათ, კარგა ძალი ხრიოკი ადგილი გაუსუფთავებ-შემოუღობიათ და ამერიკულ ვაზისათვის დაუმზადებიათ; ამ მამულში გაუკეთებიათ წისქვილი, რომელიც ცოტაოდენს შემოსავალს მისცემს საზოგადოებას და სხ. საანგარიშო წლის განმავლობაში ამ მამულიდან შემოსავალი ჰქონიათ სულ 3531 მან. 48 კაპ., წისქვილის გასაკეთებლად 449 მან. 90 კაპ. დახარჯვიათ და 399 მან. 27 კაპ. ინვენტარი შეუძენიათ; ბანკში შეუტანიათ 1689 მან. და 73 კაპ. სულ მამულის ხარჯი ბანკში შეტანილი ყოფილა 4,668 მან. 72 კაპ. ამ ჟამად სკრის მამულზედ ძირითადი ბანკის ვალია 21,844 მან. 61 კაპ.

ქალთა კომიტეტს, რომელიც აგროვებს თანხას დედათა მომავალ სასწავლებლის დაბაარსებლად ამ ჟამად აქვს ნაღდ ფულად 6418 მანეთი. 84 კაპიკი. და სარგებლიანი ქაღალდებით 17,600 მან. სულ 24,018 მან. და 94 კაპ. რადგანაც აღნიშნულ მიზნის განსახორციელებლად ეს თანხა მცირეა, ამიტომ იგი ისეთს საქმეში აქვთ, რომ იქიდან სარგებელი ემატება და როდესაც საჭიროება მოითხოვს აღნიშნულს მიზანს მოხმარდება. კომიტეტს ღარიბ მოსწავლებთათვის აღმოუჩენია შემწეობა, 6 კაცი თავის ხარჯით ჰყოლია ურიერსიტეტში, 13 შემწეობა მიუცია ფულით და 72 კაცისთვის ტანისამოსი შეუკერია, რისათვისაც სულ ხარჯი მოსვლია კომიტეტს 2,966 მან. 77 კაპ.

კრებამ თითქმის უკამათოდ დაამტკიცა ანგარიში; ამასთანავე, თავმჯდომარის განცხადების თანახმად, ნება მიეცა კომიტეტს შეიძინოს სკრაში ერთი დღიური ვენახი, რომელიც აღნიშნულ მამულის ერთ ნაჭერს მიწას აშორებს მეორეს და რომლის გაყიდვაც მოუსურვებია მის პატრონს ბ-ნ ...ავრიშვილს წინადადებით. აგრეთვე კრებამ დაავალა თავ. ვ. ს. მიქელაძეს და ბ-ნ ი. გ. თულაშვილს მოელაპარაკონ სათავად-აზნაურო გიმნაზიის ახლო იმ ადგილის პატრონს, რომელსაც განუზრახავს ამ ადგილის გიმნაზიისათვის დათმობა.

შემდეგ ცოტაოდენი კამათი გამოიწვია კომიტეტის მოხსენებამ იმის შესახებ, რომ, რადგანაც ჯერ საპენსიო კასის წესი არ გვაქვს დამტკიცებული საკმაო თანხის უქონლობისა გამო, ამიტომ საჭიროა შემწეობად მანამდე ყოველ წლობით ვაძლიოთ მასწავლებლად ნამყოფ ნ.ვ. მთვარელიშვილს, რომელიც სკოლას 16 წელიწადი ემსახურა და რომელსაც აღარ შეუძლიან მუშაობა, და გარდაცვალებულის მასწავლებლის ჯაჯანაშვილის ქვრივს.

კრებამ დაადგინა აძლიოს მთვარელიშვილს 534 მან., ხოლო ჯაჯანაშვილის ქვრივს 300 მან., კრებამ დაამტკიცა აგრეთვე ამ მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ აღრიცხვა. კომიტეტს ეპოვრება 63,710 მან..

დასასრულ, კრებას წარედგინა ვრცელი მოხსენება კომიტეტისა გიმნაზიისათვის ახალ შენობის მდგომარეობის შესახებ. სხვათა შორის, როგორც მოხსენებიდგან *) სჩანს, სახლის ასაშენებლად მიუღია სათავადაზნაურო ბანკისაგან სულ 47,568 მან. 52 კაპ თავ. კონსტანტინე ივანეს ძის მუხრანბატონისაგან 25 000 მან., გიორგი სპირიდონის ძის განძიელისაგან (1000 მან. გარდა იმისა, რომელიც წინად შეუწირავს, 430 მან.) ისაია ფურცელაძისაგან (წინად 10 მან.) 150 მან., ა. სარაჯიშვილისაგან 100 მ., იაგორ იაგორის ძის მამინაიშვილისაგან 100 მან., ა. ი. სავანელისაგან 50 მან. და სხვანი. სახლის შენების დროს წასულ წელს დაუხარჯავს 87,425 მან. 46 კაპ. გასავალი შემოსავალზე მეტი ჰქონიათ 8,976 მან. 77 კაპ. ეს მეტი ხარჯი დაუფარავთ საზოგადოების სხვა და სხვა თანხებიდგან. დასასრულ, კომიტეტი აცხადებს, რომ წელს მას განზრახვა აქვს როგორმე იშოვოს 70,000 მან. და მთელი სახლის დახურვა წელსვე მოასწროს. კრებამ ერთხმად დაადგინა უხვი შეწირულებისათვის საზოგადოების საპატიო წევრად ამორჩეულ იქმნენ თავ. კონსტანტინე ივანეს ძე მუხრან-ბატონი, რომლის სურათი დადგმულ იქმნეს კომიტეტის კაბინეტში, და ა. ი. ჯამბაკურიან-ორბელიანი, რომელმაც სათავად-აზნაურო სკოლაში სტიპენდიის დასაარსებლად შესწირა 4,000 მან. დასასრულ, უგან. თავ. პ. გრუზინსკის წინადადებით, კრებამ დაადგინა ულრმესი მადლობა გამოუცხადოს საზოგადოების მხრით ყველა იმ პირთ, რომელთაც რაიმე დახმარება გაუწიეს კომიტეტს სკოლის შენობის საქმეში, მიუხედავად შემოწირულების რაოდენობისა, რადგანაც თითოეული კაპეიკი ხატავს შემომწირველის სურვილს საზოგადოებისადმი თანაგრძნობისასაო.

კრება დასრულდა ღამის 11 საათზედ.

სასამართლო

საქმე „კონტრაბანდისტების“ გამო ქუთაისში.

24 მაისს, დილის 11 საათზე, ქალაქ ქუთაისის მომრიგებელმა მოსამართლემ დაიწყო გარჩევა დრამის «კონტრაბანდისტების» წარმოდგენის დრამა თეატრში 16 აპრილს მომხდარ არეულობის საქმისა. პოლიციის ოქმიდან სჩანს, რომ 16 აპრილს ქუთაისის თეატრში მოსაღამოვ დასის მიერ წარმოდგენილი იქმნა დრამა «კონტრაბანდისტები.» პირველ მოქმედების შემდეგ თეატრში აიგზიდან გასამ სასინი, სტვენა და სკამების რახუნი. მომხდარ არეულობით უსარგებლია ბ. ლომთათიძეს და სტენაზე უსვრია ლაქა კვერცხი. ბ. პოლიცმეისტემ არეულობის მოსასპობლად და სიწყნარის დასამყარებლად გასცა განკარგულება გაეყვანათ თეატრიდან ზოგი სტუდენტთაგანი. პოლიცმეისტერის განკარგულება მაშინვე სისრულეში მოყვანილ იქმნა, მაგრამ ამით არეულობა არ შეწყვეტილა და მესამე მეოთხე მოქმედების დროს სტვენა, სასინი, და სკამების რახუნი ხელ-ახლად ასტულა. ამასთანავე ვიღაცას «ქალრის» გაზიც უნდა გაეგრცელებინა თეატრის დარბაზში, რის გამო ბევრი იძულებული იქმნენ თეატრიდან გამოსულიყვნენ. ბ. პოლიცმეისტრის განკარგულებით, ხელ-ახლად იქმნენ დაპატიმრებული რამდენიმე პირი. სულ ბრალდებულთა სკამზე ოცდა ათი კაცი: ექვსი სტუდენტი (გობეჩია, ჩიქოვანი, მეუნარგია, კაჩუხოვი, ...ერთი ფარმაცევტი — აბაშიძე, ორი კერძო პირი — არაბიძე და ...თავ. ნიკოლოზ ნიკურაძე; უკანასკნელის საქმე მომრიგებელ მოსამართლემ გამოძიებელს გადასცა.

სტუდენტებს კერესელიძეს და ჩხეიძეს ...და ნაფიცი ვექილის თანაშემწე ბ. თუმანიშვილი; ბ.ბ. აბაშიძეს, არაბიძეს და სტ. გობეჩიას ნაფიცი ვექილი ბ. ...ბეკარიძე.

მომრიგებელმა მოსამართლემ მოწმეების ჩვენების ჩამოართმევამდე მიჰმართა თვით ბრალდებულთ კითხვით—სთვლიან ისინი თავის თავს თუ არა დამნაშავედ.

სტ. ჩხეიძემ, კერესელიძემ, გობეჩიამ, ჩიქოვანმა, მეუნარგიამ და ბბ. არაბიძემ და აბაშიძემ განაცხადეს, რომ მათ არ მოსწონდათ არც მსახიობთა უხეირო თამაშობა და არც თვით პიესის ტენდენციური ხასიათი. უკმაყოფილების გამოსაცხადებლათ მათ მიჰმართეს სასინს და არა სტვენას, სკამების რახუნს და «ქიმიურ» ოპსტრუქციას, როგორც ეს ოქმში არის მოხსენებული. თავიანთ მოქმედებას ისინი სრულიად კანონიერად სთვლიან, რადგანაც მათის აზრით, უფლებას უფლება აქვს განაცხადოს თავის სულიერი მდგომარეობა ან ტაშის ცემით, ან ხმაურობით.

ბ. ლომთათიძემ განაცხადა, რომ მას არ შეეძლო გულ-დამშვიდებით მოესმინა ისეთი უხეირო, ხელოვნებას სრულიად მოკლებული და თან ამ გვარი ტენდენციური პიესა, როგორც არის «კონტრაბანდისტები», რომელშიაც სრულიად უზომოდ მიწასთან ასწორებენ ისედაც ბირობების გამო ეროვნულ უფლებას მოკლებულ ებრაელთა ერს, მით უმეტეს, რომ ეველამ კარგად იცის, თუ როგორი თვალით უყურებს დღეს ებრაელთა ერს არა მარტო უბრალო ხალხი, არამედ ზოგი ინტელიგენტთაგანიც. თავის აზრის დასამტკიცებლად ბ. ლომთათიძემ მოიყვანა მაგალითი თვით ქუთაურების ცხოვრებიდან. 1895 წელს, განაცხადა ლომთათიძემ, სულ უბრალო მიზეზის გამო ქუთაისის მცხოვრებლებმა დაიწყეს ებრაელთა წინააღმდეგ მოძრაობა და სამი დღის განმავლობაში განურჩევლათ სქესისა და ხნოვნობისა სცემდენ ებრაელებს. მაშინ ის თავად თანაუგრძნობდა ებრაელთა მოწინააღმდეგეთ და კიდევაც ჭსურდა მონაწილეობის მიღება; მხოლოდ როდესაც სოფლო სასამართლოში მან გაიგონა ბრალმდებელის სიტყვა ამ საქმის შესაგებ და თან გონებრივათაც განვითარდა, ნათლად შეიგნო, რომ ებრაელებს უსაფუძვლოთ სდევნიან და რომ ისინი დირსნი არიან ისეთივე პატივისცემისა, როგორც დანარჩენი ერნი. ეოველივე ამის შემდეგო, განაცხადა ბ. ლომთათიძემ, რა გვიგე რომ ქუთაისის თეატრში აპირებენ «კონტრაბანდისტების» დადგმას, რომელიც მე სამი წლის წინად წაკითხული მქონდა და რომლის შინაარსიც არ მომწონდა,—მეტად ავდელდი და გადავწყვიტე უკმაყოფილების გამოხატვა წარმოდგენის დროს სასინით, სტვენით და სტენაზე კვერცხის სროლით. შეიძლება, დასთავა ბ. ლომთათიძემ სიტყვა, კვერცხის სტენაზე სროლა გადამეტებული იყო ჩემის მხრივ, მხოლოდ სასინი და სტვენა ეოველად კანონიერად მიმაჩნია და თქვენც გთხოვთ ჩასთვალოთ კანონიერად; ამასთანავე არ შემიძლია არ ადვნიშნო, რომ სუვორინის და ბოდგარინის კანონიერმა შვილებმა და «ჩერნომორსკი ვესტნიკზე» ადგილმა საზოგადოებამ გამოიწვია თავის ტაშის ცემით ჩემი გადაწყვეტილება.

სტ. კაჩუხოვმა განაცხადა, რომ ის ადელვა არა მარტო მსახიობთა უხეირო თამაშობამ და პიესის უშინაარსობამ, არამედ პოლიცმეისტერის მოქმედებამაც. პოლიციმეისტერმა პარტერიდან დაიძახა «Взять его» «გაათრიეთ ის» და მიუთითა კაჩუხოვზე. უკანასკნელმა უპასუხა: «თუ ბ. პოლიცმეისტერს ჭსურს ჩემი თეატრიდან გაყვანა, ვთხოვ თავად მობრძანდეს ან და ბოქაულები გამოგზავნოს, უბრალო პოლიციის კაცებთან «городовый»-სთან კი მე საქმის დაწყერა არ მსურს. თქვენ როგორც წესიერების და სიმშვიდეს დამცველი, მის მაგიერ რომ მაგალითს უჩვენებდეთ სხვას, თავად არდგევთ წესიერებას, რადესაც მთელი თეატრის წინაშე ხმა მაღლა და მო-

*) ამ მოხსენებას ამ დღეებში მთლად დავბეჭდავთ.

ურიდებლათ გაიძახით «Взять его» «გაათრიეთ ის»; თქვენ თუ გაქვთ უფლება განცხადოთ კმაყოფილება ტაშის ცემით, მეც მაქვს უფლება განვცხადო უკმაყოფილება სისინით.» სტ. კაჩუხოვი კანონიერად სთვლის თავის საქციელს.

ბრალდებულთა ჩვენების შემდეგ დაიწყეს მოწმების კითხვა.

მოწამე ექიმი ბ. კლეტოვი. მე აივანზე ვიყავი; მართალია პირველი მოქმედების შემდეგ გაისმა სისინი, სტვენა და სკამების რახუნი, მაგრამ ამაკე დროს ისმოდა ტაშის ცემაც; ვინ უსტვენდა, არ ვიცი, მხოლოდ დაკინახე, რომ ადგა ერთი სტუდენტთაგანი—რომელი იყო არ ეს ვიცი; სტუდენტი არც უსტვენდა და არც სისინებდა. ადგომისთანავე, მინამ სისინს დაიწყებდა, ბოლიტმეისტერმა პარტერის პირველ წყობიდან ჯერ დაიძახა: «взять его» «გაიყვანეთ ის» და შემდეგ ორიოდე წამისა განიმეორა: «взять его силой—«გაათრიეთ ის ძალით». სტუდენტმა მიიქცია საზოგადოების ყურადღება ხელების ქნევით და აღელვებული მდგომარეობით; მიუხედავად ამისა, მან მაინც ზღიდობიანად, თუმცა ტოტა ხმა მაღდა, მიმართა ბოლიტმეისტერს: «თუ გსურთ ჩემი აქედან გაყვანა გამიყვანეთ თვითონ, ან და გამოგზავნეთ ბოქაული; უბრალო ბოლიციელებთან მე საქმის დაწერას ჩვეული არა ვარ. თუ თქვენ გაქვთ უფლება გამოხატოთ ტაშის ცემით კმაყოფილება, მეც მაქვს უფლება განვცხადო ჩემი უსიამოვნება». მოწამე უარს ჰყოფს, რომ მას არ განუცხადებია 16 აპრილს ბოლიტიმეისტრისთვის არაფერი «ქალორის გაზი»-ს გავრცელებაზე.

მოწამე თავ. დგებუაძე. მე დავრჩი თეატრში წარმოდგენის გათავებამდე; სტუდენტები სისინებდნენ, მაგრამ მათთან ერთად სისინებდა ბევრი სხვა.

მოწამე ბოქაული ტერ-ანტონოვი. მე ვიყავი 16 აპრილს თეატრში დანიშნული, ვიდექ მარცხნით აივანზე, კუთხეში. სტუდენტები ისხდნენ მარჯვნით, ჩემს პირდაპირ. მეორე თუ მესამე მოქმედების დროს, კარგად არ მახსოვს, სისინი დაიწყეს, პირველად, მგონი სტ. კაჩუხოვმა დაიწყო; იგი წარმოდგენის დროს დამჯდარი სისინებდა და მის გვერდში ვიდაცამ იატაკზე მაგრა ფეხი დაჭყრა. ბ. ბოლიტმეისტერმა უბრძანა ბოქაულ ქალიშვილს: «გაათრიეთ ის». ამაზე სტ. კაჩუხოვი უპასუხა: «თუ გსურთ ჩემი გაყვანა, მობრძანდით თვით, ან და გამოგზავნეთ ბოქაული მაინც»,—სხვა რა უთხრა, არ მახსოვს. გაგონილი თუ არა ბ. ბოლიტმეისტრის ბრძანება, მე გავგეშურე სტ. კაჩუხოვსკისაკენ და ჩემთან ერთად მოვიდა ბ. ბოლიტმეისტრის თანაშემწეც. ჩემ წინადადებაზე—«წამოდით», სტ. კაჩუხოვმა მეკითხა—თქვენ ვინა ხართო და როდესაც პასუხად მიიღო—მე ბოქაული ვარ-მეთქი, მაშინვე გამომეყვა. ვინ უსტვენდა და სისინებდა არ ვიცი, მხოლოდ სტვენა და სისინი სტუდენტების მხრიდან ისმოდა. მოსამართლის კითხვაზე—რას შეგებოდა სტ. კაჩუხოვი მესამე მოქმედების დაწყების დროს, მოწამემ უპასუხა—არ ვიცი.

სტ. ჩიქოვანის კითხვაზე—თუ რისთვის სტაცა ბოქაულმა ფეხში ხელი, მოწამემ უპასუხა: «აბა თქვენ თავად წარმოიდგინეთ, თქვენ სიმაღლე კაცს ფეხში ხელს როგორ ვტაცებდი».

სტ. გობეზიას შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლებინო, განაცხადა მოწამემ.

ბრ. არაბიძე იდგა სტუდენტების უკან, მაგრამ რას შეგებოდა, არ დამინახავს. ბ. ბოლიტმეისტრის ბრძანებით, სტუდენტები ბოლიციაში წაიყვანეს ოქმის შესაყენებლად. მოწამე ხელ-ახლა აცხადებს, რომ მე არ ვიცი, ვინ მოახდინა არეულობა, ამასთანავე თან დასძენს, რომ სტუდენტები სკამების არახუნებდნენ, მაგრამ მსჯულის დაკითხვაზე, რომელი იყო, მოწამე სუფლაზე უთითებს და დაბეჯითებით ვერც ერთს ხელი ვერ დაადო.

მოწამე ქ. ნაზაროვისა. სისინი და სტვენა დაიწყეს მეორე მოქმედების დროს; ვინ სისინებდა და უსტვენდა, არ ვიცი. ბ. ბოლიტმეისტრის პარტერიდან «კომანდამ»—«გაათრიეთ ის» გამოიწვია უსიამოვნება თვით საზოგადოებაში და ზოგიერთებმა კიდევაც განაცხადეს,—ნეტავ ვიცოდეთ ვინ უფრო არდგევს წესიერებას ბ. ბოლიტმეისტრი «კომანდობით», თუ ზევით აივანზე მეოთი «პროტესტანტები»-ო.

მომრიგებელ მოსამართლის კითხვაზე: მოგწონა მოწამეს პიესა და მსახიობთა თამაში, თუ არა, მოწამემ განაცხადა, რომ მას არც თამაშობა და არც პიესის შინაარსი არ მოსწონებია. რაც შეეხება პროტესტს, მოწამე თანაუგრძნობს, მხოლოდ არ მოსწონს საშუალება, რომელსაც მიმართეს «პროტესტანტებმა».

მოწამე ინჟენერი ბ. პავლოვსკი პირველი მოქმედების დასასრულს ვიდამაც აივნიდან ქვედა ბოლო ისროდა, მეორე მოქმედების დასაწყისში გაისმა სისინი და სკამების რახუნი. ბ. ბოლიტმეისტერმა ხმა მაღლა დაიძახა: «გაათრიეთ ის», ორი წამის შემდეგ განიმეორა: «გაათრიეთ ის ძალით». ვინ სისინებდა და უსტვენდა, არ ვიცი. ბ. ბოლიციმეისტრის «კომანდის» შემდეგ პარტერში ბევრი ფეხზე წამოდგა და დერეფანში გამოვიდა, ასტედა საერთოდ ხმა მაღლა დაარაკი, უსიამოვნების გამოცხადება და პარტერში ბევრი გაიძახოდა: «ვინ უფრო არდგევს სიჩუმეს—ბ. ბოლიტმეისტერი, თუ სტუდენტები»?

მოწამე ექიმი ბ. ჯიჯინაძე მეორე მოქმედების დასასრულს აივანზე გაისმა სტვენა, სისინი. ვინ სისინებდა არ ვიცი, მხოლოდ დავინახე სტ. კაჩუხოვი ფეხზე ამდგარი. ბ. ბოლიტმეისტერმა უკმეხად მოიდი თეატრის წინაშე დაიძახა: «გაათრიეთ ის ძალით», რაზედაც სტ. კაჩუხოვმა ზრდილობიანად უპასუხა.

მოწამე ბოქაული ქადეიშვილი. მე ვიყავ 16 აპრილს თეატრში დანიშნული. ვიჯექ პარტერში ჩემ ადგილს. სისინის და სტვენის დროს სტ. კაჩუხოვი გაიძახოდა «თვითონ ბოლიტმეისტერი მობრძანდესო», რით იყო გამოწვეული სტ. კაჩუხოვის სიტყვები, არ ვიცი. მართალია ბ. ბოლიტმეისტრმა მოეკ. თეატრის წინაშე უბრძანა მას წაყვანა ბოლიციაში, მაგრამ ვისი—არ იცის, რადგანაც ბ. ბოლიტმეისტერს გვარი არ უხსენებია. როდესაც პარტერიდან ზევით აივნისკენ წავედი, გზაზე კიბეზე ვნახე, რომ სტ. კაჩუხოვი მოჭყავდათ. დანარჩენების შესახებ არაფერი არ ვიცი, აცხადებს მოწამე.

მომრიგებელ მოსამართლის კითხვაზე, თუ არაფერი არ იცოდით, მაშ ოქმი რისთვის შეაყენეთო, მოწამემ უპასუხა—რომ ოქმი ბ. ბოლიტმეისტერის ბრძანებით შეაყენა. მოწამე აცხადებს, რომ სტ. გობეზია მას ბოლიციაში არ მიუყვანია და თუ ოქმში ნათქვამია, რომ სტ. გობეზია ბოლიციაში მოიყვანეს, ეს მხოლოდ უბრალო შეცდომაა.

მოწამე ბოქაულის თანაშემწე გერასიმე. პირველ ორ მოქმედების დროს მე შესავალ კარებთან ვიდექი. მეორე მოქმედება რომ გათავდა, მომესმა ხმაურობა. ბ. ბოლიტმეისტრის ბრძანებით, აივანზე ავედი ვინ ხმაურობდა, არ ვიცი. მომრიგებელ მ ასამართლის კითხვაზე—სკამები დგას, თუ სკამ-დოგინები იმ ადგილას, სადაც სტუდენტები ისხდნენ, მოწამემ განაცხადა, რომ სკამ-დოგინებია.

მოწამე ბოქაულის თანაშემწე ხიჟარაძე. მე ვიდექი ქანდარაზე; თეატრში რა ხდებოდა, არ ვიცი. მეორე მოქმედების დროს შეიქნა სტვენა, სისინი და სკამების რახუნი. სტ. კაჩუხოვი იძახოდა: «ჩემი წაუყვანა მარტო ბოლიტმეისტერს შეუძლია.» სტ. კაჩუხოვი ბოლიციაში მე წავიყვანე

სტ. კაჩუხოვის კითხვაზე ფეხით წაიყვანეს ის, თუ ეტლით, მოწამემ ჯერ დანამდვილებით განაცხადა რომ ეტლითო, მაგრამ შემდეგ, როდესაც სტ. კაჩუხოვმა უპასუხა, რომ ის ფეხით წაიყვანეს და თუ ეჭვებისა, მოწმეებსაც დასახელებს, მოწამემ უარი დაიწყო და სთქვა, კარგად არ მახსოვს—ფეხით წავიყვანე თუ ეტლითო. მოწამეს არც ის ახსოვს, თუ ვის გადასცა სტ. კაჩუხოვი ბოლიციაში. დანარჩენ ბრალდებულთა შესახებ მოწამემ განაცხადა, რომ არაფერი არ ვიცი.

მოწამე ბოქაულის თანაშემწე ჩაბაკა. ვიდექი აივანზე მარცხნით-კუთხეში. ბ. ბოლიტმეისტერის ბრძანება არ გამიგონია. მსაჯულის კითხვაზე რისთვის მიხვედით სტუდენტებთან და თეატრიდან გასვლას თხოულობდითო, მოწამემ უპასუხა, რომ ის ბოქაული ტერ-ანტონოვის განკარგულებაში იყო და რადგანაც ბოქაული ტერ-ანტონოვი მივიდა სტუდენტებთან, ისიც თან გავყევი მას. იმ ადგილას, სადაც სტუდენტები ისხდნენ სკამ-დოგინებია იატაკზე მიმაგრებული.

მოწამე ბოლიციის კაცი სტეპანენკო. ვიდექ აივანზე მარცხნით, სტუდენტების პირდაპირ. ამტკიცებს, რომ სტ. კაჩუხოვი უსტვენდა, დანარჩენები კი სისინებდნენ. სტ. კაჩუხოვმა ბ. ბოლიტმეისტერს დაუძახა: «თქვენ მიბრძანებთ მე? მაშ მე თქვენ გაჩვენებთ თქვენ სეირს!». სტ ჩიქოვანის შესახებ არაფერი ვიცი. ბრ. არაბიძე სკამ-დოგინს არახუნებდა.

დანარჩენი მოწმები განთავისუფლეს.

მოწმეების შემდეგ სიტყვა სთქვეს ნაფიცმა მსაჯულმა ბ. ჯაფარიძემ, ნაფიც მსაჯულის თანაშემწემ ბ. თუმანიშვილმა და სტ. კაჩუხოვმა. სიტყვებში უველამ ის აზრი გაატარა, რომ პიესა შინაარსით ვერ დააკმაყოფილებს მსმენელს და თუ ამას დაუმატებთ მსახიობთა უხეირო თამაშობას, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბრალდებულთ უფლება ჰქონდათ თავისი უსიამოვნება გამოეცხადებინათ სისინით, რაც ჩვეულებრივია და არც კანონის წინააღმდეგია.

მოსამართლის გადაწყვეტილება «ცნობის ფურცლის» მკითხველებმა უკვე იციან.

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

28 მაისი.

პეტერბურგი 25 მაის საზღვარ-გარეთ, აკვაში გარდაიცვალა სახელმწიფო სათავადაზნაურო და საგლეხო ბანკების მმართველი თავადი ლიეენი.

ჩარჯუი. პარაკლისის გარდახდის და დეკანოზ პოკროვსკის მიერ ნათქვამ სიტყვის შემდეგ იმიერ კასპიის მხარის უფროსის, ბუხარის ემირის და გზათა სამინისტროს წარმომადგენელთა და მრავალ მოწვეულ პირთა თანადასწრებით გაიხსნა ამუდარიაზე გაკეთებული ხიდი. გენერალ ივანოვის მეუღლემ გადასჭრა სამფეროვანი ლენტი და მაშინვე ათი ლოკომოტივი გაუშვეს ხიდზე. შემდეგ ყველა დამსწრენი ჩასხდნენ მატარებელში, რომლით გადვიდნენ იქით ნაპირზე, სადაც გამართულ იქმნა საუზმე. გენერალმა ივანოვმა დალია ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო; შემდეგ დალიეს სადღეგრძელოები ბუხარის ემირისა, სამხედრო და გზათა მინისტრების, ხიდის ამშენებლების და დამსწრე სტუმრების. გენერალ ანენკოვის სახსოვრად, უმაღლესის ნება-რთვით, ჩარჯუიში დაიდგმება მისი ძეგლი. საუზმის დროს ხიდზე გამოჩნდა პირველი მატარებელი, რომელსაც დამსწრენი ურას ძახილით მიეგებნენ. ძატარებელი გააჩერეს. გენერალმა ივანოვმა დაასაჩუქრა მატარებელზე მსახურნი. შვიდ საათზე ბუხარის ემირს სადილი ჰქონდა გამართული.

ყაზანი ენეაში წყალმა იკლო.

ბერლინი. ბერლინის ბირჟის საფონდო განყოფილებამ დაადგინა დღეს ფონდის საქმეებს დაუმატოს პროტესტი რუსეთის სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზების აქციონერებისა. გადაწყდა მხედველობაში მიიღონ ხოლმე ეს პროტესტი ყოველთვის, როდესაც აქაურს ბირჟას რუსეთის ფასიანი ქაღალდები მოუვა.

ტრიესტი დღეს ზღვაში ჩაუშვეს გემი „მონგოლია“, აშენებული აღმოსავლეთ ჩინეთის გზების რუსეთის საზოგადოების მიერ.

იოკაჰამა. ვალდერზეე მოვიდა კობეში ნაშუადღევს გემი „პერტა“-თი და მაშინვე ნაპირზე გადმოვიდა. ვალდერზეემ გულითადი მადლობა გამოუცხადა ბურგომისტრს დახვედრისათვის და შემდეგ წავიდა გერმანიის საკონსულოში. დღეს დილით ვალდერზეე გაემგზავრა ტოკიოსკენ. კველპარტის კუნძულზე მომხდარ უწესოებათა შესახებ სხვა და სხვა ხმები მოდის; მხოლოდ მართალია, რომ [illegible] ქრისტიანთა და სხვა მკვიდრთა შორის.

პეკინი. ლიტონანგს [illegible] ლური დეპეშა, რომლითაც ატყობინებ[illegible] რომ მეფის [illegible] აგვისტოს დამლევს.

რედაქტორი	გამომცემელი
ალ. ჭეიანია.	**ალ. ჯაბადარი**

ბაკინური ბიბლიოთეკა

ბაკინური ბიბლიოთეკა

ბაკინური ბიბლიოთეკა